

**ტრანსრეგიონული და რეგიონული
მაქსიმები და ენათმეცნიერება
(ქართული საზოგადოებრივი ენის სივრცე)
TRANSREGIONAL AND REGIONAL
MAXIMS AND LINGUISTICS
(GEORGIAN LITERARY LANGUAGE SPACE)**

*მინც ჩაგვიტორიეს უცნაურ კამათში,
როდესაც საკამათო არაფერია.*

მანანა ტაბიძე

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი
თბილისი. საქართველო

Manana Tabidze

St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia.
Tbilisi. Georgia

ABSTRACT

Recent studies confirm that verbal communication does not involve the mechanical use of linguistic means. The intralingual space contains a large number of layers consistently enlarged from a narrow communication team to a national extent, which contains the knowledge of numerous psychological, cultural, and ethnic-genetic conventionalities in communication. It is not possible to combine and organize this knowledge within a single academic field. It is for this reason that modern interpretations of transregional and regional maxims can also be used to explain the tendency to exacerbate several fundamentally important issues in linguistics.

The proposed article examines the following issues: the essence of the controversial issue of the terminological qualification of the language-dialect, the imperfection of the tree model of Indo-European languages to convey the peculiarities of the Kartvelian linguistic world, the importance of measures aimed at facilitating the normalization of the written language and sharpening the consolidation skills, issues of current challenges of dialectology and so on.

საკვანძო სიტყვები: ენათმეცნიერება, სოციოლინგვისტიკა, მაქსიმა, ენა-დიალექტის მიმართება.

Keywords: Linguistics, Sociolinguistics, Maxima, Language-Dialect Relation.

მაქსიმას ცნებას არაერთი დარგი იყენებს და, ცხადია, მისი მნიშვნელობა სხვადასხვა დარგისათვის სხვადასხვაა.¹ თუმცა ყველა ვერსიას აქვს საერთოც. **მაქსიმა** ჰუმანიტარული სფეროსთვის არის ქცევის ნორმა ან ძირითადი პრინციპი, რომელიც საფუძვლად უდევს ადამიანის ან საზოგადოების ყოფა-ცხოვრებას (ამ ცნებაში თავს იყრის ლოგიკისა და ეთიკის პრინციპებიც). კონკრეტული ადამიანის ან საზოგადოების გამოცდილებაზე, ცოდნასა და სულიერ ფასეულობებზე ამოზრდილი ესა თუ ის თვალსაზრისი პრინციპად რომ გადაიქცეს, იგი უნდა განზოგადდეს და იმ მთლიანობაში განთავსდეს, რომელსაც სხვა ადამიანებისა და საზოგადოებების კონსოლიდაცია შეუძლია ამ პრინციპის გარშემო. ენათმეცნიერებაში მაქსიმას ცნების ამოქმედება გრაისის² სახელს უკავშირდება, რომელმაც ეს ტერმინი ენას ფილოსოფიიდან მიუსადაგა. გრაისის მიხედვით, საზოგადოებრივი ურთიერთობების ერთადერთ საფუძველს კოოპერაციის პრინციპი წარმოადგენს, რამდენადაც ესაა ადამიანთა (ან საზოგადოებათა, ან ერთა) შორის დიალოგის მიზანი, ხოლო ამ მიზნის განხორციელების გზაზე აუცილებელია გარკვეული წესებისა და ნორმების დაცვა, რათა მხარეების ერთობლივი მიზანი – კომუნიკაცია – წარმატებით განხორციელდეს.³ გრაისისა და მისი თეორიის მოდიფიკატორების ნააზრევის შეფასება ჩვენი ამოცანა არ არის. ამ თვალსაზრისებს მხოლოდ იმის ნათელსაყოფად მოვიხმობთ, რომ ენისშიდა ვარიანტთა ურთიერთმიმართებაც კომუნიკაციური ურთიერთობის ერთ-ერთი ფორმაა. სხვაგვარად როგორ უნდა ავხსნათ ქვეყნის ორგანული ნაწილის მცხოვრებთა მეტყველების ბავშვური გაჯიბრება საკუთარ სამწიგნობრო ენასთან. უახლესი მეთოდოლოგიები აღიარებენ, რომ

¹ მაქსიმა „ძირითადი წესი“, „უმაღლესი პრინციპი“, ლოგიკური ან ეთიკური პრინციპი, ქცევის წესი, ნორმა, რომელიც გამოთქმულია მოკლე ფორმულის სახით (უცხო სიტყვათა ლექსიკონი)

² ჰერბერტ პოლ გრაისი (1913-1988), იმპლიკატურის თეორიის ავტორი.

³ გრაისმა სულ ოთხი მაქსიმა დაადგინა, რომელიც მისთვის ნებისმიერ დიალოგს უდევს საფუძვლად, თუმცა იქვე აღნიშნა, რომ ამ ოთხიდან ნებისმიერი მაქსიმა შეიძლება შეიცვალოს ან საერთოდ არ იყოს ბოლომდე დაცული, მაგრამ ყველა ერთად არასოდეს გაქრება (ან შეიცვლება); ეს 4 მაქსიმაა: რაოდენობის, ხარისხის, რელევანტურობის (ურთერთმიმართების), საშუალების მაქსიმები. იმპლიკატურის თეორიის მიხედვით კი ადამიანები ხშირად ურთიერთობენ პირობითი ცნებებით და არა სიტყვათა პირდაპირი მნიშვნელობით. გრაისი ასეთ მაგალითს ასახელებს: კითხვაზე, შეგიძლიათ კარი მიხუროთ? ადრესატი კი არ უპასუხებს „კის“ ან „არას“, არამედ კარს ხურავს. ლიჩმა მაქსიმათა რაოდენობა გაზარდა... დროთა განმავლობაში მაქსიმა კომუნიკაციის თეორიის განუყრელ ნაწილად იქცა და სხვადასხვა მკვლევართან სხვადასხვა პრინციპთან გაერთიანდა. ამჯერად ჩვენთვის რეგიონული და ტრანსრეგიონული მაქსიმების ცნება საინტერესოა, რომელთა მეშვეობითაც ვიწროდან ფართო საკომუნიკაციო სივრცეზე გასვლის მექანიზმების დანახვა შეიძლება გაადვილდეს. ამგვარი მიდგომით, ყოველი მცირე ენობრივი კოლექტივი, გაერთიანებული საქმიანობის, ცხოვრების წესის, კულტურულ-ტრადიციული გამოცდილებით (მაგალითად, ოჯახი) მუდმივ კომუნიკაციაშია უფრო ფართო, მაგრამ სხვებთან ერთად ამ კონკრეტული კოლექტივის გამოცდილების შემცველ უფრო მსხვილ კოლექტივთან, რომელიც, თავის მხრივ, ასევე შემადგენელია უფრო მსხვილი ენობრივი კოლექტივისა. კომუნიკაცია ამ წრეებს შორის სწორედ ამ მუდმივ შემადგენლობით პრინციპზეა დამოკიდებული.

სამეტყველო კომუნიკაცია არ გულისხმობს ენობრივი საშუალებების მექანიკურ გამოყენებას, არამედ შიდაენობრივი სივრცე შეიცავს ვიწრო საკომუნიკაციო კოლექტივიდან ეროვნულ ხარისხამდე თანმიმდევრულად გამსხვილებულ უამრავ პლასტს, რომელიც კომუნიკაციაში იმდენივე ფსიქოლოგიურ, კულტურულ, ეთნიკურ-გენეზისურ პირობითობათა ცოდნას შეიცავს, რამდენსაც ლექსიკონებში წარმოდგენილი ლექსიკის პირდაპირი მნიშვნელობა გამოხატავს (ვგულისხმობთ, ტროპულ ფორმებს, ფრაზეოლოგიზმებს, მისალმება-დამშვიდობების, ზრდილობის, დალოცვა-წყევლის და სხვა ფორმულებს, ხატოვანებისა და ესთეტიკური ფასეულობების ლექსიკურ-ფრაზეოლოგიურ ასახვას, სომატიზმებს, ონომასტიკას, სტილისტიკას და ა.შ.). ეს ყოველივე ისეთივე ენობრივი მასალაა, როგორც სხვა დანარჩენი. და ამ თვალსაზრისით ჩატარებული კვლევები ერთიანობის მაღალ მაჩვენებელს დაგვანახებს.

რატომ მიიქცია ჩვენი ყურადღება მაქსიმათა საკითხმა? უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ დღეს, პრაგმატიკული დარგების აყვავების ხანაში, ჩვენც გვესაჭიროება მწვავე პრაქტიკული საკითხების გააზრება იმ მეთოდოლოგიით, რომელიც **ზოგჯერ** ფსევდომეცნიერული და ფსევდოთეორიული იარაღის სახით აქვთ მომარჯვებული ოპონენტებს. სხვადასხვა კუთხის წარმომადგენელთა კომუნიკაციის წესები, ანუ მაქსიმები, სწორედ საერთო ფასეულობების საფუძველზე დგინდება;

როგორია ენა-დიალექტის ტერმინოლოგიური კვალიფიკაციის სადავოდ გამხდარი საკითხის არსი:

ა) **რატომ გახდა მნიშვნელოვანი** არასპეციალისტებისათვის, რა დაერქმევა საქართველოს სხვადასხვა კუთხის მეტყველებას – ენა თუ დიალექტი? და რატომ მწვავედება ეს საკითხი გარკვეული პერიოდულობით?

ბ) **რატომ არ იყო ეს საკითხი მნიშვნელოვანი** მეცხრამეტე საუკუნემდელი საქართველოსთვის არც სახელმწიფოებრივი მთლიანობის და არც სახელმწიფოებრივი დაქუცმაცებულობის პერიოდებში?

გ) **რატომ მიიჩნევა**, რომ ამ საკითხზე მსჯელობა საკითხის პოლიტიზებაა იმათ მიერ, ვინც ქართველური მოსახლეობის ენობრივ (და კიდევ სხვა მრავალ) მთლიანობას ამტკიცებს? ანუ რა უფრო მნიშვნელოვანია, „ვინ ისროლა პირველმა, თუ ვინ რას ესროლა“?

დ) **რატომ არ ასახელებენ** საქართველოს ენობრივი დაქუცმაცების მომხრეები იმ ავტორიტეტებს (მეფეებს, მწერლებს, მოღვაწეებს, ეკლესიის წარმომადგენლებს, ხელოვანთ, გმირებს), რომელთაც შეიძლება დაეყრდნოს მათი მოსაზრებები, მაშინ როდესაც ქართული ენობრივი მთლიანობის მომხრეთა სახელები უამრავი და განუზომლად მაღალი ავტორიტეტისაა საქართველოს ყველა კუთხისათვის?

გვსურს თუ არა, პირველ კითხვაზე პასუხი მაინც მიგვიყვანს დისკურსულ ანალიზთან, სადაც პოლიტიკას არცთუ უმნიშვნელო როლი ექნება. თანამედროვე მსოფლიო კვლავ გავლენის სფეროთა გადანაწილების ამოცანის წინაშე დგას, და ე.წ. მსხვილი მოთამაშეებისაგან მთავარ თამაშში მცირე სახელმწიფოთა თვითგადარჩენისკენ მიმართული აქტივობების გამოსარჩევად და მათი ყურადღების შიდაპრობლემებზე გადასატანად ღვივდება სხვადასხვა ხასიათის კონფლიქტები, რომელთა წამოწყება,

განვითარება და შეფასება ასევე თამაშების ნაწილია.⁴ ეს მსჯელობა ჩვენ არ გვეკუთვნის, მას ბევრი ავტორი ჰყავს, ჩვენ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ამ მსჯელობას ჩვენი ქვეყნის უახლესი წარსულიც ადასტურებს. თანამედროვე მსოფლიოს მართვაში ფრაგმენტაციისა და გლობალურ აქტორთა როლი რეგიონთა გადაფორმატირებაში პოლიტოლოგთა, სოციოლოგთა და ფილოსოფოსთა მიერ სრულიად გაცნობიერებულია. ამ პროცესს უკვე აკვირდება ენათმეცნიერული დარგების მნიშვნელოვანი ნაწილიც (სოციოლინგვისტიკა და მისი განხრები: ლინგვოპოლიტოლოგია, ენა და ფსიქოლოგია, ლინგვოკულტუროლოგია, ენა და დემოგრაფია, ლინგვისტური გეოგრაფია).

დღეს თითქმის ყველა სახელმწიფოა ჩაბმული ე.წ. რეგიონულ პოლიტიკასა და რეგიონული ინტეგრაციის პროცესებში. მხოლოდ ჩვენ ვერ გავგირკვევია საკუთარი მიზანი, როდესაც ერთი მხრივ, ე.წ. სამხრეთკავკასიური რეგიონული სივრცის ჩამოყალიბებაში მონაწილეობისას საერთოს ვემბთ ისტორიულად სრულიად განსხვავებული ეთნოსის, კულტურისა და რწმენის ქვეყნებთან, ხოლო მეორე მხრივ, ერთმანეთს კუთხური მეტყველებების კვალიფიკაციის საფუძველზე ვემიჯნებით და სხვადასხვაობას ვიჩემებთ, აქაოდა „წმინდა მეცნიერების“ აღმოჩენის სახელით. დიახ, დღეს, როდესაც ახალი მსოფლიო წესრიგი მცირე ქვეყნებს რეგიონული ინტეგრაციული პროცესებისკენ მიუძღვის, ჩვენ ვერ ვამჩნევთ, როგორ გავებით შინაგანი დეზინტეგრაციის მახეში და ყველა სისულელეს ავყევით, როგორც კი წინ დაგვიხვედრეს. ჯ. ნაის მიხედვით, სუვერენულ სახელმწიფოთა ნაწილი (და მათი შემადგენელი ნაწილები) თანდათან გადადიან არასახელმწიფოებრივ მდგომარეობაში და პირდაპირ (და ცალ-ცალკე) შედიან ე.წ. რეგიონულ გაერთიანებაში (Nye 2004), რითაც სამუდამოდ ემიჯნებიან სახელმწიფოდ ან ეროვნული სახელმწიფოს ორგანულ შემადგენლად ყოფნის საკუთარ ისტორიულ სტატუსს. თანამედროვე მსოფლიოს პლურალურ, მრავალშემადგენლიან მოდელში რეგიონები, ერთი მხრივ, უდიდესი სახელმწიფოების პროექტებს წარმოადგენენ, მათი ინტერესებისა და პოლიტიკის ერთმანეთზე დამოკიდებულ ერთობებად გადაქცევის გზით, მეორე მხრივ კი, საკუთარი სუბიექტურობისა და ასეთი გამსხვილებული სახით მსოფლიო ბიზნესში ჩაბმის ილუზიურ და უტოპიურ შესაძლებლობას იღებენ.

ქართველთა მთლიანობის რღვევისკენ მიმართული ღონისძიებები იწყება მეცხრამეტე საუკუნიდან, როდესაც რუსეთის იმპერია საქართველოს სამეფოს გაუქმებითა და მის ორ გუბერნიად შემოერთებით ცვლის სახელმწიფოს ისტორიულად ჩამოყალიბებულ ფორმატსა და სტრუქტურას, და თანმიმდევრულად „იცავს“ ეროვნული იდენტობის განმაპირობებელი კომპონენტების მთლიანობის რღვევის კურსს (ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება, ეგზარქოსის ინსტიტუტი, წირვა-ლოცვის რუსულად გადაწყობა, განათლების სისტემის რუსიფიკაცია, ეთნიკური ნიშნით მოსახლეობის აღწერის პრინციპების რევიზირება, რუკების

⁴Non-Western International Relations Theory Perspectives On and Beyond Asia, Edited By Amitav Acharya, Barry Buzan, 2009; ob., *Ачарья* 2000; *Ачарья* 2012 (1); *Ачарья* 2012 (2); *Ачарья*, 2013; *Хантингтон* 2003.

გაყალბება, ფსევდომეცნიერული დასკვნების მომზადება, საიდუმლო კანცელარიის პროექტების ამოქმედება, ცენზურა და ა.შ.). ამ პერიოდს უკავშირდება პირველად ე.წ. ქართველური ენების ცნების შემოტანა.⁵ ისტორიის მოყვარულთათვის, ცხადია, მიმზიდველია გიულდენშტედტის ბიოგრაფიის ის ნაწილი, სადაც ნატურალისტის, ბუნებისმეტყველების დარგის წარმომადგენლის კავკასიაში მოგზაურობისას (პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის დავალებით) ნიადაგის, მცენარეული და ცხოველური საფარის აღწერილობასთან ერთად აღწერილია ადგილობრივი მოსახლეობის მეტყველებებიც; როგორც ცნობილია, კავკასიაში მოგზაურობის დროს იოჰან გიულდენშტედტმა შეკრიბა ლექსიკური მასალა და შეადგინა კავკასიაში გავრცელებული ენების შედარებითი სიტყვათა კონები. ასეთ თამამ კლასიფიკაციას კი საფუძვლად დაედო თითოეული ასეთი კონისათვის შეკრებილი 340-მდე სიტყვა (ესენია არსებითი სახელები, ნაცვალსახელები, რიცხვითი სახელები, ზედსართავეები, ზმნები). სიტყვები დალაგებულია შინაარსობრივად. მართლაც მნიშვნელოვანია, რომ მთის მრავალი იბერიულ-კავკასიური ენის ლექსიკური მასალა ასე ვრცლად პირველად ჩაიწერა; თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თანამედროვე მეთოდოლოგიით ამგვარი მასალა, შემკრებლისა და ანალიტიკოსის ნიჭიერებისა და გულმოდგინების გარდა, ვერაფერში გვარწმუნებს. გასაკვირიც კია, როგორ აიტაცეს რუსულმა სამეცნიერო სკოლებმა ლექსიკური მასალის შედარების საფუძველზე იოჰან გიულდენშტედტის მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაცია, რომელშიც მან გამოყო ენათა ექვსი ჯგუფი: ქართული (ქართული, მეგრული, სვანური), ქისტური (ჩაჩნური, ინგუშური, თუშური), ლეკური (ხუნძურ-დიდოური, ანწუხური, ჭარული, ყაზიყუმუხური, ახუშური); ჩერქეზული (ყაბარდოული და აფხაზური); ოსური; თათრული. მანვე ეს ენები ჯგუფებად დაყო და ცალკეული ჯგუფის წევრთა ნათესაობის საკითხიც პირველად სწორედ მან წამოაყენა. ამავე პერიოდიდან იწყება კავკასიის ენების (მათ შორის ქართული ენობრივი სივრცისაც) ჯგუფებად დაყოფა და, მიუხედავად შემდგომში განხორციელებული ცვლილებებისა, ენობრივი დიფერენციაციისკენ მიმართული მაგისტრალური ხაზი აღარ გაწყვეტილა. ენათა დიფერენციაციის გზამ თავისთავად გააჩინა ამ დიფერენციაციის ფესვებისა და განშტოებების დაშვებისა და დათარიღების აუცილებლობა, და ამ აუცილებლობისათვის ევროპული ენებისათვის უკვე გამზადებული გენეალოგიური ხის ტოტებზე საერთო ქართული ენის სახეობათა განთავსების უკვე ლოგიკური შედეგი. ჩვენ ადრეც გვითქვამს და ახლაც გავიმეორებთ, რომ **ინდოევროპული ენების ხის მოდელი ქართველური ენობრივი სამყაროსათვის არ გამოდგება, რადგან ინდოევროპული ენებიდან გამოსული შტოები უკან, ხის ძირითად სხეულს არასოდეს დაბრუნებია** მაშინ, როდესაც ქართველური ენა-კილოების მოძრაობა ზღვის მოქცევა-უკუქცევის მსგავსად ნაპირებიდან წაღებულ წყალსა და ქვიშას ისევ ზღვის წიაღში აბრუნებს და ახალი შევსებული ტალღის სახით კვლავ და კვლავ

⁵ იოჰან ანტონ გიულდენშტედტი (1745-1781) – გერმანელი მეცნიერი, მოგზაური. პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრი (1771), „თავისუფალი ეკონომიური საზოგადოების“ პრეზიდენტი (1780-დან).

გამორიყავს ნაპირზე. ასე სხვადასხვა კუთხის შვილს თავისი კუთხის ყველა მარგალიტი საერთო ქართულ კულტურაში (მწერლობაში, ხელოვნების სხვა დარგებში, ისტორიაში, რწმენაში, ყოფაში...) შემოაქვს, და აქედან წაღებულ ნაირფეროვან სიმდიდრეს თავისი კუთხისთვისაც ძვირფასი ქართული მწიგნობრობით უკვდავყოფს... და ეს პროცესი უწყვეტია დღემდე (ტაბიძე 2015: 95-96).

ერთ-ერთი მწვავე საკითხი, რომელიც თანამედროვე დაწინაურებული ქვეყნების უმრავლესობამ უკვე გადაჭრა, არის სამწერლობო ენის ნორმალიზაციისა და მაკონსოლიდირებელი უნარის წახალისებისაკენ მიმართული ღონისძიებების გატარება. ამ გზაზე ყველგან იყო მრავალგვარი დისკუსია და შეხლა-შემოხლა; ძირითადად კამათობდნენ ნორმის დადგენის პრინციპებზე, ცალკეულ ნორმაზე, ტერმინოლოგიაზე, სესხების მიმართ დამოკიდებულების შემუშავებაზე, საგანმანათლებლო საკითხებზე, ენის ფუნქციონირების სფეროებზე... მაგრამ საკუთარი სამწერლობო ტრადიციების უარყოფის, საკუთრივ შემუშავებული სადამწერლობო კულტურისაგან გაუცხოების უცნაური ტენდენციები ამ საკითხის ისტორიაში ნაკლებად ჩანს. ენობრივი მასალის უნიფიცირების პრობლემა ნამდვილად არსებობს, რათა საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული ერთიანობის გზით უფრო მაღალხარისხოვანი და საყოველთაოდ მოქმედი ენობრივი ფაქტურა ამოქმედდეს. ცხადია, ამ გზაზე ყოველი პერიფერიული სამეცნიერო კოდი თავისი მოქმედების არეალში, სასურველია, გადარჩეს და არ შეიზღუდოს, მას აქვს საკუთარი როლი საერთო საქმეში – სალიტერატურო ენის გამამდიდრებლისა და განმავითარებლის სტატუსით – ამ როლს მწერლობა და ინტელექტუალური წრეების წარმომადგენლები ასრულებენ, მათ საკუთარი კუთხის მეტყველების საუნჯე დამუშავებული, მოტივირებული სახით შემოაქვთ ენაში. მაგრამ ის, ვინც ამ რჩეულ მთლიანქართულ სამწერლობო ენაზე უარს ამბობს და მხოლოდ ვიწრო სივრცეში ჩაიკეტება, საკუთარ დიდ სიმდიდრეზე უარის მთქმელი გამოდის.

ანუ, იგი უარს ამბობს სამწიგნობრო ქართულზე (ქართველურზე), რომელიც არის გამორჩეული მრავალსაუკუნოვანი ტრადიციით, ნორმირებული და ორგანიზებული, სახელმწიფოს ნებისმიერ სტრუქტურას მორგებული, ცოდნის ნებისმიერი საფეხურისათვის შესაბამისი, საქართველოს ყოველი კუთხის ქართველისათვის მშობლიური, საქართველოს ნებისმიერი კუთხის ქართველის ღვაწლით შექმნილი, შენარჩუნებული და განვითარებული.

ვის აერთიანებს და რით აერთიანებს ქართული სამწერლობო ენა?

ქართული ენა აერთიანებს ყოველ ქართველს და მის ამომრჩეველ ყოველ არაქართველს (გავიხსენოთ, „აზო ისმაიტელყოფილი ქართველი“, ან გოგოლი (უკრაინული წარმოშობის რუსი მწერალი, ბულატი ოკუჯავა –, ქართული წარმოშობის რუსი მწერალი, ბოროდინი ალექსანდრე პორფირის ძე - (31. X. 1833, პეტერბურგი, – 15. II. 1887, იქვე), რუსი კომპოზიტორი და ქიმიკოსი. ქართველი თავადის ლუკა გედევანიშვილის (გედეონოვის) შვილი (ჩაწერილი იყო როგორც თავადის მსახურის – პორფირი ბოროდინის შვილი და ა.შ.);

ჰყავს თუ არა, და შეიძლება თუ არა ჰყავდეს, სამწერლობო ქართულს ერთი რომელიმე პატრონი ან ერთი რომელიმე კუთხე პატრონად?

ნებისმიერი მაღალგანვითარებული სამწერლობო ენა მისი შემოქმედი ერის საყოველთაო ღვაწლისა და შემოქმედების ნაყოფია. განა შეიძლება ვიფიქროთ, რომ მთელი ჩინეთის ან ინდოეთის მოსახლეობა ერთნაირ სალიტერატურო ჩინურზე ან ჰინდიზე საუბრობს?

გამოიკვეთა კიდეც ერთი ტენდენცია – სოციოლინგვისტიკა გაიმიჯნოს ლინგვისტიკისაგან.

ერთი შეხედვით, მეცნიერებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს ამ საკითხის გამწვავებას. რაკი არსებობს საკვლევი საკითხები, რომელთა გადაჭრას მნიშვნელობა აქვს რეალობისათვის, და რაკი იძებნება მეთოდოლოგია, რომლითაც ამ საკითხების შესწავლაა შესაძლებელი, მაშასადამე, დარგი საჭიროა და მას არსებობის სრული უფლება აქვს. უნდა ითქვას, რომ ერთხანს ამ დარგის უფრო ფართო დარგობრივ კომპლექსთან მიკუთვნების საკითხი აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა. თუმცა დროთა განმავლობაში ვნებები დაცხრა და ამჟამად სოციოლინგვისტიკა უდავოდ მიიჩნევა თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების სრულფასოვან განხრად. ჩვენში, როგორც პოსტსაბჭოური ჩაკეტილობიდან გვიან გამოსულ ქვეყანაში, ამ საკითხმაც დააგვიანა, ამიტომ აქ ჯერაც გრძელდება სოციოლინგვისტიკის დასკვნების არალინგვისტურად გამოცხადება, და საქმეში ჩაუხედავი ადამიანებისთვის იმის ჩაგონება, რომ სოციოლინგვისტური მოსაზრებები სამეცნიერო მოსაზრებები არაა. სამწუხაროდ, ჩვენში მყარად მოიკიდა ფეხი კოლონიზებული ქვეყნის კომპლექსმა, როდესაც საკუთარ საქმეზე სხვისი ნაფიქრით მსჯელობენ და, სამწუხაროდ, ამგვარი არასრულფასოვნების კომპლექსი თვით სამეცნიერო სივრცეშიც შემოიჭრა. ამიტომ მართებულად მიგვაჩნია მოკლედ მაინც შევაფასოთ ეს საკითხი.⁶

ძირითადად სოციოლინგვისტიკის, როგორც ენათმეცნიერების ნაწილის, მიმართ გამოთქმული პრეტენზიები ორ კატეგორიად იყოფა: ა) სოციოლინგვისტიკა არის დარგთაშორისი ემპირიული ხასიათის დისციპლინა, რომელსაც არა აქვს თეორიული საფუძვლები (DeCamp 1969); ბ) სოციოლინგვისტიკას არ შეუძლია საკითხთა ღრმად გაანალიზება (Hymes 1974).

ამ თვალსაზრისთა დამცველები სამეცნიერო ლიტერატურის წარმომადგენლები ბლუმფილდის ტრანსფორმაციული გრამატიკის⁷ საფუძვლებზე იყვნენ აღზრდილნი, და ასე იოლად ვერ იღებდნენ სიახლეს. ისიც საყოველთაოდაა ცნობილი, რომ კონკრეტულ მასალაზე მომუშავეთ ხშირად უძნელდებათ განზოგადებული მსჯელობა.

⁶ The Place of Sociolinguistics in Language Sciences Fred C.C. Peng, International Christian University, 1982; The Handbook of Language Variation and Change, Edited by J. K. Chambers, Peter Trudgill, and Natalie Schilling-Estes, 2002.

⁷ როგორც ცნობილია, ტრანსფორმაციული გრამატიკა, როგორც გრამატიკის თეორია, სწავლობს ენის კონსტრუქციებს ლინგვისტური გარდაქმნებისა და ფრაზის სტრუქტურების საშუალებით.

როგორ უნდა გავარჩიოთ ენები და დიალექტები (Wichmann 2005). ლინგვისტები კარგა ხანია შეეგუენ ამ ტერმინებს და სამუშაო პროცესში აქტიურად იყენებენ იმ მნიშვნელობით, რომელსაც ძირითადად არა თავად ტერმინის მნიშვნელობა, არამედ კონტექსტი განაპირობებს (აქედანაა გამოთქმები: ფრინველთა ენა, ძაღლის ენა, მედიცინის ენა, ბავშვის ენა და სხვ.).

დიალექტოლოგიას, როგორც დიდი ტრადიციებისა და ემპირიული მასალიდან ამოსულ საენათმეცნიერო დისციპლინას, საკუთარი საკვლევი მიმართულებები და მეთოდოლოგია აქვს, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ მისთვის უცხოა ეჭვი და ცვლილებები (რაც სრულიად ბუნებრივია მეცნიერებისათვის, რომელიც კონკრეტული მომენტისათვის დაგროვილი ცოდნის გარშემო ტრიალებს და არა აბსოლუტური ცოდნის გარშემო).

ნებისმიერი ენის შიგნით არსებობს სამეტყველო ვარიანტები, რომლებიც გარკვეული ლინგვისტური მანძილებითაა დაშორებული ერთმანეთს. ეს მანძილები ჰორიზონტალურადაც (გეოგრაფიულადაც) გაიზომება და ვერტიკალურადაც (სოციალური პლასტების მიხედვით); თუ გეოგრაფიულ ანუ ჰორიზონტალურ ნიშნულს სწორ ხაზად წარმოვიდგენთ, დავინახავთ, რომ **უკიდურესი ა უკიდურესი ბ-საგან** დიდად იქნება დაშორებული და მკვეთრად განსხვავებულადაც წარმოდგება, მაგრამ თუ ტრაჯილს დავესესხებით, **ა-დან ბ-საკენ** ნაბიჯ-ნაბიჯ სიარულისას ვერც კი შევამჩნევთ, როგორ თანდათან მოხდება მანძილის მარტივად დაფარვა და გაადვილდება ყველა განსხვავების გაგება და გააზრება; დიალექტოლოგიაში ამ თანდათანობითი მსვლელობისას ერთის წიაღში მეორის ჩასახვის ზღვრის დადგენამდე ე.წ. გარდამავალი ზონების დადგენა ხდება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ე.წ. გეოგრაფიული დიალექტური ატლასის შედგენისას საქმე გვაქვს არა ჰორიზონტალურად გავლებულ სწორ ხაზთან, არამედ რთული რელიეფისა და მოხაზულობის სივრცესთან, რომლის მოსახლეობის სამეტყველო პრაქტიკაში აირეკლება მისი სამეურნეო, კლიმატური და სხვა სპეციფიკიდან გამომდინარე დაკვირვებები (ცხადია, ბრიტანელი ინგლისელის ლექსიკონში კენგურუ ისე აქტუალური არ არის, როგორც ავსტრალიელი ან აფრიკელი ინგლისურენოვანი ადამიანისათვის (თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ისინი სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ). ამდენად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ე.წ. ათვლის წერტილი – სად უნდა დავინახოთ **ა**, რომლის მიმართაც უნდა დავადგინოთ სამეტყველო ვარიანტების თავისებურებათა ხასიათი, და მანძილები „ა“-სა და მათ შორის, ერთი მხრივ, და მანძილები თვით სამეტყველო ვარიანტებს შორის, მეორე მხრივ.

ზოგი მეტყველების ან უდამწერლობო ენისათვის, რომელსაც სტანდარტიზებული ვარიანტი არ გააჩნია, არსებობის ფორმა მხოლოდ ვარიანტულობაა, და ამ ვარიანტებს შორის სხვაობათა დადგენა არ ხდება „სწორია-არასწორიას“ პრინციპით. ხოლო იმ ენებში, რომელთაც აქვთ სამწერლობო ვერსია, ანუ ნორმალიზებული, სტანდარტიზებული ენა, ზეპირი ვერსიების ინდივიდუალურ თავისებურებათა შესავასებლად სწორედ სტანდარტიზებულ ენას მოიაზრებენ ათვლის (ა) წერტილად. ქართულის შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს, ერთი მხრივ, მრავალფეროვან

და შემოქმედებითი თვალსაზრისით სრულიად თავისუფალ დიალექტურ სივრცესთან, მეორე მხრივ კი, კარგად ორგანიზებულ, საუკუნეობრივი სიმყარით გამორჩეულ, დიალექტური ერთიანობით ნასაზრდოებ სტანდარტიზებულ სამწიგნობრო ენა-კონესთან, რომლის პატრონიც ერთდროულადაა ყველა კუთხის სამეტყველო ვერსიათა წარმომადგენელი ქართველობა.

ძირითადად დიალექტოლოგია ორი მიმართულებით მუშაობს:

1. გამოავლინოს ურთიერთგანმასხვავებელი ზოგადი ნიშნები;

2. გამოიყენოს მეტ-ნაკლებად თანმიმდევრული და ობიექტური საზომები ორ ვარიანტს შორის მიმართებათა დასადგენად ფონოლოგიის, მორფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკის, ლინგვოკულტუროლოგიური, ეთნოლინგვისტური, სოციალური და სხვა პარამეტრების შესაბამისად.

იმ ერებისათვის, რომელთაც მწიგნობრული ტრადიცია აქვთ, ენად სტანდარტიზებულ ვარიანტს იხსენიებენ, ხოლო ყველა დანარჩენ ვერსიას დიალექტის კატეგორიაში განათავსებენ.

სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ტერმინები ენა და დიალექტი ძალზე პირობითია სიზუსტის თვალსაზრისით, მაგრამ უაღრესად მოსახერხებელია სამუშაო პროცესში,⁸ როდესაც ხდება მათი კატალოგიზაცია, კოდებისა და ინდექსების მინიჭება, ცალკეული კუთხის ლექსიკონის შედგენის შემთხვევაში, გარკვეული ტიპის პროექტების დასაგეგმარებლად და ა.შ.

ამჟამად, ელექტრონული ბაზების გაძლიერებისა და მუდმივი სრულყოფის ვითარებაში, ენობრივი მასალის ურთიერთშეჯერების, მსგავსებათა ძიებისა და სხვაობათა ბუნების ახსნის საქმე თანდათან მარტივდება, მაგრამ თუკი მანქანას ადამიანი არ ეტყვის, რომელი კრიტერიუმებით უნდა შეფასდეს დაჯგუფებული მაგალითები, ენა-დიალექტის გამიჯვნის საკითხი კვლავ პოლიტიკური თამაშების იარაღად დარჩება.

როგორც აღნიშნავს სპეციალისტთა უდიდესი უმრავლესობა, ენა-დიალექტის გამიჯვნის საკითხი ბოლომდე გადაუჭრელი იქნება. არალინგვისტი ინტელექტუალები კი ერთხმად იმეორებენ, რომ „ენა ქვეყანას უკავშირდება, დიალექტი კი – კუთხეს“.

დამოწმებული ლიტერატურა

ტაბიძე 2015: ტაბიძე მ., სოციოლინგვისტიკა (მასალები სალექციო კურსისათვის). თბილისი, 2015.

უცხო სიტყვათა ლექსიკონი <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=24366> დამოწმება: 12.10.2021.

DeCamp 1969: DeCamp D., Implicational Scales and Sociolinguistic Linearity. Dec 69, 22p.; Revised version of a paper presented at the 44th annual meeting of the Linguistic Society of America, San Francisco, December 1969 <https://files.eric.ed.gov/fulltext/ED036787.pdf> დამოწმება: 05.10.2021.

⁸ რუსულ ენათმეცნიერებაში ამ ბოლო დროს ახალი ტერმინიც გაჩნდა – დიალექტური ენა.

Hymes 1974: Hymes D., *Foundations in Sociolinguistics An Ethnographic Approach*, 260 pages. 1974, <https://www.upenn.edu/pennpress/book/934.html> დაძმონწმეზბა: 05.10.2021.

Nye 2004: Nye J., *Soft Power: The Means to Success in World Politics* (New York: Public Affairs Group, 2004).

Wichmann 2005: Wichmann S., *On the power-law distribution of language family sizes* Published online by Cambridge University Press: 31 March 2005. <https://www.cambridge.org/core/journals/journal-of-linguistics/article/abs/on-the-powerlaw-distribution-of-language-family-sizes/8DE66CDF985EE768D34C89832338FDA5> დაძმონწმეზბა: 12.10.2021.

Ачарья 2000: Ачарья А., *В поисках идентичности: международные отношения в Юго-Восточной Азии*, Oxford University Press, 2000.

Ачарья 2012 (1): Ачарья А., *Цивилизации в объятиях: распространение идей и трансформация власти*, Институт исследований Юго-Восточной Азии, 2012.

Ачарья 2012 (2): Ачарья А., *Создание Юго-Восточной Азии : Международные отношения в регионе*, Cornell University Press, 2012.

Ачарья 2013: Ачарья А., *Переосмысление власти, институтов и идей в мировой политике: чей IR?* Routledge, 2013.

Хантингтон 2003: Хантингтон Самюэль, *Столкновение цивилизаций*, Москва. 2003. <https://www.google.com/search?q=%D0%A6%D0%B8%D> დაძმონწმეზბა: 03.09.2021.

The Place of Sociolinguistics in Language Sciences: Fred C. C. Peng, *International Christian University*, 1982. <https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S0388000182800016> დაძმონწმეზბა: 03.09.2021.

The Handbook of Language Variation and Change: Edited by J. K. Chambers, Peter Trudgill, and Natalie Schilling-Estes, 2002. http://www.blackwellpublishing.com/content/BPL/Images/Content_store/WWW_Content/9780631218036/01Prelim.pdf დაძმონწმეზბა: 05.10.2021.

Non-Western International Relations Theory Perspectives On and Beyond Asia: Edited By Amitav Acharya, Barry Buzan, 2009. <https://www.routledge.com/Non-Western-International-Relations-Theory-Perspectives-On-and-Beyond-Asia/Acharya-Buzan/p/book/9780415474740> დაძმონწმეზბა: 03.09.2021.